ჩთნგჭრი საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანა!

ოლხეთი

სენაკის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გაზეთი

2018 წელი.№7 1-15 აპრილი (9430) ფასი 40 თეთრი

გილოცავთ აღდგომის მრწყინვალე დღესასწაულს!

ქრისტე აღდგა მკვდრეთით,
სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი
და სათლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი

მუნიციპალიტეტის მერიაში

29 წელი 9 აპრილის მოვლენებიდან

9 აპრილის ტრაგედიიდან 29 წელი გავიდა. მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა და საზოგადოების წევრებმა 9 აპრილის სკვერში გვირგვინებით შეამკეს გმირთა მემორიალი და პა-

ტივი მიაგეს გარდაცვლილთა ხსოვნას. 1989 წლის 9 აპრილს, საბჭოთა სპეცრაზმმა მშვიდობიანი მომიტინგეები დაარბია და 21 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.ასობით ადამიანი კი დაიჭრა, მოიწამლა ან დასახიჩრდა. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ დასაბამი მისცა საქართველოს თავისუფლებასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს. ტრაგედიიდან 2 წლის თავზე, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

სააღდგომო საჩუქრები

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ და თვითმ-

მართველობის სხვა წარმომადგენლებმა სასურსათო პაკეტები გადასცეს და მოახლოებული აღდგომა მიულოცეს სენაკის მზრუნველობამოკლებულთა ცენტრის 153 ბენეფიციარს.

უფასო ოფთალმოლოგიური გამოკვლევები ძველ სენაკში

ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის ამბულატორიის შენობაში, თვალის მიკროქირურგიული ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯის" ორგანიზებით და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მოსახლეობისთვის განხორციელდა უფასო ოფთალმოლოგიური კონსულტაციები. კლინიკის ბრიგადის სპეციალისტებმა 38 ადგილობრივ მცხოვრებს ჩაუტარეს გამოკვლევები საჭიროების შემთხვევაში შემდგომი მკურნალობის დაგეგმვით. კონსულტაციების პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი და მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია ესწრებოდნენ. უფასო კონსულტაციები და შესაბამისად, მკურნალობა თვალზე, პერმანენტულ ხასიათს ატარებს და პერიოდულად გაგრძელდება.

აზიურ ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე დასავლეთ საქართველოში აზიურ ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების მიმდინარეობას გაეცნენ. აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის დაგეგმილი ფართომასშტაბიანი ღონისძიებების ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტში მოეწყო რეგიონალური საწყობი, სადაც მობილიზებულია ღონისძიებებისთვის საჭირო სპეციალური საშუალებები და პრეპარატები, რომლებიც მუნიციპალიტეტების მიხედვით გადანაწილდება. მინისტრებთან ერთად სასაწყობე ინფრასტრუქტურა ადგილზე დაათვალიერეს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ, გურიის და იმერეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულებმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა, სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ბერაიამ, მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა და მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ. მინისტრმა ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წლის სტრატეგიის შესაბამისად ყველა რესურსია მობილიზებული იმისათვის, რომ მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებები დროულად და ეფექტიანად ჩატარდეს. „აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო კამპანია აქტიურ ფაზაში გადავიდა. უკვე ფუნქციონირებს საკოორდინაციო შტაბი დასავლეთ საქართველოში. დღეს მოწვეული გვყავს რეგიონების ხელმძღვანელები იმისთვის, რომ კოორდინირებულად ჩავატაროთ საველე კონტროლის სამუშაოები. სრულიად მობილიზებულია სპეცტექნიკა და მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ფიტოსანიტარიული შესაძლებლობები 2017 წელთან შედარებით, რისთვისაც სახელმწიფომ მნიშვნელოვანი დაფინანსება გამოყო. 100-ზე მეტი ეკიპაჟი იმუშავებს

იმისთვის, რომ ჩვენი ღონისძიებები იყოს მაქსიმალურად ეფექტიანი. ყველა ინფორმაცია თავს იყრის შტაბში და გადამუშავების შემდეგ იგეგმება საველე სამუშაოები. დასავლეთ საქართველოში იმუშავებს ხუთი საველე შტაბი, რომელთაც კოორდინაციას გაუწევს აბაშის მუნიციპალიტეტში არსებული საკოორდინაციო შტაბი. ამავე დროს, უკვე დავიწყეთ საველე მონიტორინგის სისტემის განთავსება, რომელიც მთელს ტერიტორიას მოიცავს და 100 ათასი წერტილიდან მოხდება მონაცემების მიღება, რათა მავნებლის გავრცელების და პოპულაციის შესახებ გვქონდეს ოპერატიული ინფორმაცია",- განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

სოციალური საწარმოების განვითარებისთვის

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ ქეა საერთაშორისო კავკასიაში - *CARE International in the Caucasus* - ის პროექტის კოორდინატორი თეონა მაქაცარია მიიღო. შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული ,არტ სამყაროსა'' და სოციალურ საწარმო - „ჩვენი სივრცის" დამფუძნებლები ესწრებოდნენ. არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც სენაკის მუნიციპალიტეტში ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით 5 სოციალური საწარმო დააფინანსა, აქტიურად მუშაობს შშმ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროექტზე - შშმ პირები აქტიურად არიან დასაქმებულნი დაფინანსებულ საწარმოებში. შეხვედრისას ისაუბრეს სენაკში დაგეგმილ რეგიონალურ გამოფენაზე, სადაც „ქეა საერთაშორისო კავკასიაში"-ს მიერ დაფინანსებული საწარმოები მიიღებენ მონაწილეობას. მუნიციპალიტეტის მერმა მხარდაჭერისთვის მზადყოფნა გამოთქვა და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების ხელშემწყობი

პროექტების განხორციელება შესთავაზა „ქეა კავკასიაში"-ს წარმომადგენელს.

შეხვედრა საქველმოქმედო ცენტრ „აფხაზეთის" წარმომადგენლებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთის" წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებულ და მიმდინარე სოციალურ პროექტებზე რეგიონის მასშტაბით. შეხვედრაზე ასევე დაიგეგმა სენაკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ერთობლივი პროექტები, რაშიც მუნიციპალიტეტის მერი ორგანიზაციის წევრებს აქტიურ მხარდაჭერას დაჰპირდა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან
ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური

მომავლის წიგნიერებისათვის

წ-იგნი სინათლეა, სულის ჩირაღდანი
ი-მედის მომცემია, ნაღდი მეგობარი,
გ-ულის მალამოა, ცხოვრების ცისკარი
ნ-უგეშად გვევლინება ტკბილად მოუბარი
ი-ქნეს წიგნიერი ჩვენი მომავალი.

ბიბლიოთეკა სიბრძნის თავწყაროა.სწორედ ამის გამო უდიდესმა აკადემიკოსმა ბატონმა პეტრე ქავთარაძემ მშობლიურ სოფელ II ნოსირში 1966 წელს გახსნა ბიბლიოთეკა ოჯახში,(ბიბლიოთეკარი – ტატიანა ოდიშარია), რომელსაც 6 წელი აძლევდა ხელფასს და უწერდა ჟურნალ-გაზეთებს. მთელი 15 წელი შენდებოდა II – ნოსირში პეტრე ქავთარაძის სახელობის კულტურის სახლი. 1990 წელს აშენებულ კულტურის სახლში გადაინაცვლა ბიბლიოთეკამ. ბიბლიოთეკარი ქალბატონი ნელი ჯანჯღავა. კულტურის სახლის დირექტორმა ბატონმა რევაზ ჩილაჩავამ და ქალბატონმა ნელიმ, როგორც სოფლის მოჭირნახულეებმა ერთობლივად ყველაფერი გააკეთეს სოფლის მხცოვრებთა და სოფელში ზაფხულობით ჭარბად ჩამოსულ სტუმართა სულიერი საზრდოთი უზრუნველსაყოფად. ატარებდნენ შიდა ტურნირებს ფეხბურთში სეირან, მერაბ ბარკალაიების, ზ.შეროზიას, ბ. ჯიქიძის და სხვათა თასზე. ატარებდნენ შეხვედრებს ომისა და შრომის ვეტერანებთან, პოეზიის საღამოებს, დღესასწაულობდნენ მარიამობას და უდიდეს საეკლესო თუ საერო დღესასწაულებს. იმ ავადმოსაგონარ დღეებში, როდესაც ჩვენი სოფელიც ომის პოლიგონი გახდა, მიუხედავად იმისა კულტურის სახლიდან არც დღე და არც ღამე არ გამოდიოდა ბატონი რევაზ ჩილაჩავა – ჩაიმსხვრა და გავერანდა კულტურის სახლის კარ-ფანჯრები,მაგრამ უფლის მადლით დვაწლმოსილმა პენსიონერებმაც ქველმოქმედება გაიღეს და კვლავ მწყობრში ჩადგა კულტურის სახლი.

ამ გაზაფხულმა აღმავლობის ჟამი მოიტანა. მიფერფლილი იმედის ნაპერწკალი აგიზგიზდა, ჩატარდა -- დედის დღე, რომელსაც ესწრებოდნენ ახალგაზრდობის და კულტურის ცენტრის დირექტორი ბატონი – ლევან უჩანეიშვილი და კულტურის ცენტრის სხვა სპეციალისტები. ღამაზად გაფორმებულ სცენაზე I-II ნოსირის და ძველი სენაკის სკოლის მოსწავლეები ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ – მხატვრულად დედაზე ლექსების კითხვაში. II ნოსირის ძირითადი სკოლის დვაწლმოსილი პედაგოგის – ქალბატონ მადონა მელქაძის და ძველი სენაკის პედაგოგის მაცაცო ხარებავას ლვაწლი მოზარდთა სულის ძერწვაში ნათლად წარმოჩნდა მოზარდების მიერ განსახიერებულ როლებსა და მხატვრულ კითხვაში.

ქართული ცეკვით კი ტანკენარმა II –ნოსირელმა გოგონამ ფურორი მოახდინა და მოაჯადოვა მაყურებლები. ბავშვებმა ჯილდოდ დამსახურებული აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

ბედნიერები – ბედნიერები ვიყავით, ბედნიერება ხომ დადებითი ემოციების თაიგულია, რომელსაც ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობაში აგროვებენ.

დაე, იყოს მშვიდობა ამქვეყნად და ნუ გამოელევა დღესასწაულები ცოდნის კერას.

გული კირცხალია

ხსოვნა

გულნაზ ჭანტურია

გულიკო ჭანტურია 2017 წლის 31 მარტს გარდაიცვალა და დღეს მასზე მოგონებებს ვკითხულობთ.

ალბათ მთელი რაიონის მასშტაბით ცოტა იყო ისეთი ადამიანი, ვისაც გულიკოსთან უშუალო შეხება არ ჰქონია და შესაბამისად ბევრმა და თითქმის ყველამ იცის როგორი ადამიანი იყო.

და ვინც არ იცის, ან ვის მეხსიერებაშიც ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა მისი თვისებები მინდა იცოდეთ, რომ გულიკო იყო ყველაზე კეთილი, ყველაზე სამართლიანი, თბილი და ჭკვიანი ქალი.

გულიკო ძლიერი ქალის სიმბოლოა. 40 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაეცვალა მეუღლე-ველმირ ჩემია. ყველაზე რთულ წლებში შეძლო ურთულესი -შვილებს მისცა განათლება და შეინარჩუნა უმთავრესი- ღირსეული ოჯახი. უკანასკნელ წუთამდე ღირსეულად ატარებდა ერთადერთი სიყვარულის, ველმირის მეუღლის წოდებას. ის მართლაც მეუღლე იყო იმ ურთულეს ცხოვრებაში, რომელიც მათ ერთად განვლეს.

პროფესიით ეკონომისტი და იურისტი რამდენიმე უნივერსიტეტშიც კითხულობდა ადრე ლექციებს. ყოველთვის სიამაყით იხსენებდა, როგორ ჩააბარა უკვე ცოტა ხანში შესულმა იურიდიულ ფაკულტეტზე და როგორ სწავლობდა ახალგაზრდა სტუდენტებთან ერთად. როგორ უყვარდა მათთან ყოფნა და ზოგადად ახალგაზრდა თაობა. ამიტომ იყო შესანიშნავი ლექტორი და მასწავლებელი. ის, რასაც გულიკო ლექციებს გარეთ ასწავლიდა არ შედიოდა არც ერთ სილაბუსში. ეს იყო სიცოცხლის და ადამიანების სიყვარული, ურთიერთპატივისცემა და მოთმინება. ჩვენ კი ალბათ ბევრჯერ დაგვაკლდება მისი დარიგებები, გაკვეთილები, რომლებიც მას ცხოვრებამ ასწავლა და რომელსაც მუდმივად გვიზიარებდა.

გულიკო იყო საუკეთესო მეგობარი. ადამიანი მეგობარით იცნობაო ნათქვამია და თუ მოიკითხავთ ვინ იყვნენ გულიკოს საუკეთესო მეგობრები მიხვდებით რომ ამ წრეში ადამიანი უბრალოდ ვერ იქნებოდა ცუდი.

გულიკო იყო საუკეთესო დედა. ქვეყნისთვის უმძიმეს პერიოდში მოახერხა ის,რომ მისი შვილები სწორ გზას არ აცდნენ და დღეს შემდგარი, წარმატებული ადამიანები არიან. მოახერხა შვილიშვილების გაზრდა, რომლებსაც უკიდეგანოდ შეაყვარა თავისი უძვირფასესი და უსაყვარლესი ქალაქი- სენაკი. გულიკო თავისი შვილებისგან არ არჩევდა რძალს და სიძეს, რომელთაც ის ძალიან დააკლდა. ის აუცილებლად გეტყოდათ, რომ ღმერთმა უამრავი ბედნიერება გამოუგზავნა მას ცხოვრებაში და ერთ-ერთი იყო ისიც, რომ სხვის შვილებშიც ასე გაუმართლა.

გულიკო იყო საუკეთესო თანამშრომელი. მან არ იცოდა ადამიანების გარჩევა, ყველას თანაბარი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა. იგი უყვარდა ყველა თანამშრომელს. იყო თავისი საქმის უბადლო მცოდნე და რაც მთავარია უყვარდა ის, რასაც აკეთებდა.

ილია ამბობდა, რომ ადამიანს ორი სახელი უნდა ჰქონდეს ერთი აქ დასატოვებელი და მეორე თან წასაღებიო. გულიკომ შეძლო ყველას სიყვარულის და პატივისცემის დამსახურება. შეძლო ის, რომ მუდამ გვახსოვდეს და მისი გახსენება გვეამაყებოდეს. ჩვენ, მისი ახლობლები, ოჯახის წევრები მასზე დატოვებული მოგონებებითდა ვცხოვრობთ და სევდით, თუმცა სიყვარულით ვიხსენებთ ყველაზე ლამაზ ქალს ყველაზე სევდიანი შავი თვალებით.

ანუკა ძევანიშვილი

ინეზა ჭანტურია

აპრილი მეფობს...

სურნელით, სინათლით, სითბოთი, გაზაფხულის სურნელით ივსება ქვეყანა...

ნაირფრად იღვრება.

უკვე მერამდენედ მოდის გაზაფხული... ადამიანები კი, რომლებიც ამ ჯადოსნურ თვეში დაიბადნენ, აღარ მოდიან... იმიერ სამყოფელში იპოვეს სამუდამო განსასვენებელი...

რა დასანანია: ბუნება ცოცხლდება, იღვიძებს, ყვავის, ზეიმობს... ისინი კი აღარ არიან...

ქალბატონი ინეზა ჭანტურია აპრილში დაიბადა.. გაზაფხულივით სასურველი, ხალასი ადამიანი იყო. წავიდა და დატოვა კვალი ნათელი, გაუხუნარი ხსოვნა.

წუთისოფელი მართლაც რომ წუთის სოფელია და ბედნიერია ადამიანი, რომელიც უშეცდომოდ გაივლის მის ვიწრო და ციცაბო ბილიკებს.

ქალბატონი ინეზა ჭანტურია ერთი იმათგანია, ვინც სანთელივით ჩუმად დაიფერფლა და თაობებს გზა გაუნათა.

თავდაბალი, ერთგული, შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერების განსახიერება - ასე დაამახსოვრდათ იგი სენაკელებს, სამეზობლოს. სამეგობროს, ახლობლებს, მშობლიური სკოლის კოლექტივსა და ასობით კურსდამთავრებულს.

საკუთარ თავზე საუბარი არ უყვარდა, მაგრამ მისი საქმეები საუბრობდნენ მასზე და იყო წლები, როცა ინეზა ჭანტურიას კლასში მოხვედრა მხოლოდ კონკურსის წესით იყო შესაძლებელი.

იცხოვრა,იშრომა და წავიდა!...თავისი მისია შეასრულა!.. ასეთებზე იტყვიან ხოლმე - არ მომკვდარაო!... დიახ, იგი მარად იცოცხლებს თაობების ხსოვნაში, იმ ადამიანთა ცნობიერებაში, რომლებიც ქართული სიტყვის ხიბლსა და მადლს აზიარა, მშობლიურ ენაზე აამატყველა და მომავლისკენ სწორი ბილიკი უნვენა.

საუკეთესოთა შორის საუკეთესო! - ასეთი აღიარება ადვილად მისაღწევი არ არის,მას დამსახურება უნდა!

ქალბატონმა ინეზამ ნამდვილად დაიმსახურა საყოველთაო სიყვარული ვალმოხდილი აღესრულა.

წავიდა და დატოვა მასწავლებელთა მასწავლებლის, ღირსეული, სამაგალითო ქალბატონის სახელი, რითაც ყოველთვის იამაყებს მისი შთამომავლობა.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე თავის კოლეგებს ტელეფონით შეეხმიანა და ითხოვა - ჩემს სიცოცხლეში დამიწეროთ ნეკროლოგი, მინდა წავიკითხოო..

გვაპატიოს მისმა სულმა,. თუ ვერ შევძელით და თხოვნა ვერ შევუსრულეთ!..

ახლა კი ზეციურ საუფლოში გარდასულს ვულოცავთ დაბადების დღეს და შენდობას ვითხოვთ.

სანთელ-საკმეველი არ მოკლებოდეს თქვენს სულს, დიდებულო ქალბატონო, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!

მეშვიდე საჯარო სკოლის პედკოლექტივი

ნოდარ ღვინჯილია



2017 წლის 22 თებერვალს, საღამოს 9 საათზე შეწყდა სს „ენერგო-პრო-ჯორჯიას" ღირსეული თანამშრომლის, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ელექტრიკოსის , თავისი საქმის პროფესიონალის ნოდარ ღვინჯილიას გულის ფეთქვა. უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა მისი სიცოცხლე.

ბატონი ნოდარი 30 წელი მუხლჩაუხრელად, უპრეტენზიოდ, მაღალი ზნეობით ემსახურებოდა საყვარელ პროფესიას და საქმეს. მისი ყოველი ნაბიჯი იყო მოზომილი. გახლდათ თავმდაბალი, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა, თავისი საქმის უბადლო მცოდნე, თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, უშუალო და კოლეგიალური. იცხოვრა და წავიდა ისე, რომ არავისთვის არასოდეს მტკივნეული სიტყვა არ უთქვამს.

მან თავის შეგნებული ცხოვრება ობლად დარჩენილ დისშვილებს ნინოს, ნონას და ბადრის მიუძღვნა. თავის დედასთან ერთად იტვირთა მათი აღზრდა და განათლება. მათი მომავლით სულდგმულობდა. კმაყოფილი იყო ნინოს და ნონას ბედნიერებით. ოცნებობდა ბადრის დაოჯახებაზე. ამაყობდა სიძეებით და პატარა ნიკოლოზით-ბაბუს რომ ეძახდა.

უყვარდა გაზაფხული, ყვავილები. ძალიან ყურადღებიანი იყო ოჯახის წევრების და თანამშრომლების მიმართ. ყვავილებს მოკრძალებულად მიართმევდა ხოლმე ქალბატონებს. იმ ავისმომასწავებელ დღესაც ყვავილები მიჰქონდა სახლში დისშვილებთან, რომლებიც სტუმრად იყვნენ ჩამოსულები. სიცოცხლეს შესტრფოდა და გულით უდიდეს სიყვარულს ატარებდა. ძალიან უყვარდა სპორტი, დიდი ენთუზიაზმით გულშემატკივრობდა ცნობილ საფეხბურთო გუნდებს.

40 დღე გავიდა მისი გარდაცვალებიდან. ამბობენ, ადამიანი სანამ უყვართ, არასოდეს კვდებაო, ბატონი ნოდარი დიდი ტკივილია ჩვენთვის, ყველს დაგვაკლდება მისი სითბო და სიყვარული არასოდეს დაგვავიწყდება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული და დაუმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

„ენერგო-პრო-ჯორჯიას" სენაკის მომსახურების ცენტრის თანამშრომლები

გაზეთ „კოლხეთის" თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ

ზვიად კოხიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ
განსვენებულის ოჯახს

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა"-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 5 (493) 22 24 33

საკრებულოს წევრები გენდერული ბალანსზე საუბრობენ

ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გააქტიურება, გენდერული ბალანსის მიღწევა ადგილობრივ პოლიტიკაში დღეს აქტუალური თემაა. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოშის თვლიან , რომ მთავარია ადამიანებმა იგრძნონ და დაინახონ, რომ მათ სასარგებლოდ კეთდება და მომავალშიც გაკეთდება ბევრი რამ. ამაში დიდია ქალთა წვლილი. ჩვენს დასმულ კითხვებზე პასუხობენ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები თამარ სალაყაია და ბეჟან სანაია.

1.წელს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალთა მეტი რაოდენობაა წარმოდგენილი ვიდრე ადრეულ წლებში. თქვენი აზრით, რა არის საჭირო გენდერული ბალანსის მისაღწევად ადგილობრივ თვითმმართველობაში?

2.8 აპრილს აღინიშნა უდიდესი რელიგიური დღესასწაული აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ ბრწყინვალე დღესასწაულისადმი?

თამარ სალაყაია

დაიბადა სენაკში, დაამთავრა სენაკის მე-2 საშუალო სკოლა, სწავლობდა ქ. თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროფესიით იურისტი ს ა - მართალმცოდნე. 2005-2007 წლებში მუშაობდა შ პ ს „ქსილოტრანსი“ კადრების ინსპექტორად. 2008-2010 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სენაკის სამსახურის მთავარ სპეციალისტად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის საკითხებში, 2010- 2014 წლებში

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარ სპეციალისტად იურიდიულ საკითხებში, 2014-2017 წლებში საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი, 2017 წლის 20 ნოემბრიდან სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია. 2017 წლის თებერვლიდან არის 63-ე საარჩევნო ოლქის (სენაკის მუნიციპალიტეტი, აბაშის მუნიციპალიტეტის წყემის, ზანათისა და ნორიოს თემების)მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი

1. გენდერული თანასწორობა ჰარმონიული, სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია. გენდერული თანასწორობა კი ნიშნავს, რომ ქალსა მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის, თანაბრად მონაწილეობდნენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების პროცესში და თანაბრად სარგებლობდნენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით. საზოგადოებაში ქალის ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის საჭიროა მისი გააქტიურება პოლიტიკასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რადგან ქალის მონაწილეობა პოლიტიკაში განსაზღვრავს მის მდგომარეობას ცხოვრების ყველა დანარჩენ სფეროში. რაც შეეხება ადგილობრივ თვითმმართველობას 2017 წლის მოწვევის საკრებულოში წინა მოწვევის საკრებულოსგან განსხვავებით მეტი ქალია წარმოდგენილი, რაც მისასალმებელი და მისაღებია. ზოგადად მიმაჩნია, რომ ქალები უფრო მეტად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი პოლიტიკაში, როგორც ცენტრალურ ხელისუფლებაში ისე ადგილობრივ თვითმმართველობებშიც.

2. აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, რომელიც აღნიშნება ქრისტეს მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებით. ეს არის ყველაზე დიდი სიხარულისა და იმედის მომტანი დღე. ეს არის დღე, როდესაც სიცოცხლემ სიკვდილზე გაიმარჯვა, სიკეთემ ბოროტებას სძლია. ეს დღესასწაული გამორჩეული და განსაკუთრებულია თოთოეული ქრისტიანისათვის, რადგან მაცხოვარმა ამქვეყნიური სისუსტეები დაამარცხა სიყვარულითა და სინათლით.

ბეჟან სანაია

დაიბადა ქ. სენაკში, დაამთავრა სენაკის № 7 საშუალო სკოლა, დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სპეციალობით ინჟინერ –მშენებელი. 198-2002 წლებში იყო ქ. სენაკის საკრებულოს წევრი. 2000-2003 წლებში საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ წარმომადგენელი სამეგრელოს რეგიონში.

2017 წლიდან არის სენაკის მუნიციპალიტეტის წევრი, ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი

1.ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების მიხედვით საქართველოში ქალთა 70% და მამაკაცთა 65 % მიიჩნევს, რომ ქალთა უშუალო ჩართულობა პოლიტიკაში და მათი საზოგადოებრივი აქტიურობა ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ღირსეული განვითარებისათვის. ეს განწყობა აშკარად აისახა ბოლო წლების დინამიკაში და ჩვენ ვხედავთ, რომ სულ უფრო მეტი ქალი ერთვება პოლიტიკურ და სხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი ოპტიმალური გენდერული ბალანსის მისაღწევად. ერთ-ერთი ყველაზე რეალური გზა არის კვოტების გაზრდა, რაც მოტივაციას მისცემს ქალებს მეტი ინვესტიცია განახორციელონ საკუთარ განათლებაში, რაც მთავარი განმაპირობებელია კარიერის განვითარებაში. ასეთი ქალები შემდეგში თვითონ გახდებიან მაგალითი სხვებისათვის. რაც უფრო უფრო მეტი ქალი მოირგებს ლიდერის ფუნქციას, მით უფრო დარწმუნდება საზოგადოება, რომ კარგი ლიდერის სქესს მნიშვნელობა მნიშვნელობა არა აქვს.

2. აღდგომა უმთავრესი დღესასწაულია თორმეტ უდიდეს მართლმადიდებლურ დღესასწაულს შორის. ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღსდგა და ადამიანი პირველქმნილი ცოდვისგან იხსნა. ძნელია ამ უდიდესი მოვლენის ზუსტი შეფასება უბრალო მოკვდავის ენით.

ოდითგანვე საქართველოში ყველა მართლმადიდებელი უდიდესი მოწიწებით და მონდომებით ემზადება აღდგომის დღესასწაულისათვის. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში წლების მანძილზე ჩამოყალიბდა ბევრი ლამაზი ტრადიცია აღდგომასთან დაკავშირებით, რაც კიდევ უფრო ამშვენებს და ამდიდრებს აღდგომის დღესასწაულს. მთავარია ყველა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა გაითავისოს აღდგომის სულიერი შინაარსი და თვითონაც გახდეს სამაგალითო თავისი ცხოვრების წესით.

ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა მართლმადიდებელს, განსაკუთრებით ყველა სენაკელს ვულოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!..

ქრისტე აღსდგა!!!

მ.ᲒᲔᲠᲒᲐᲘᲐ

საქართველოს პირველი პრეზიდენტი

„მრავალნი არიან ჩინებულ,
ხოლო მცირედნი რჩეულ"

(მათე),

სულმნათმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, როგორც მეორე ათასწლეულის დასასრულის ეროვნული მოძრაობის სწორ-უპოვარმა ლიდერმა და ქვეყნის პრეზიდენტმა, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე 9 აპრილს აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს უდიდესი ისტორიული მოვლენა ხალხის შუაგულის სიღრმიდან ამოფრქვეულ და გარდასულ ჟამთა ჭეშმარიტი მატიანის,ჩვენი მრავალგზის ვნებულ-ჯვარცმული და ათასჯერ ფენიქსებრ მკვდრეთით აღმდგარი საქართველოს ცისქვეშეთის ჰიმნი და დიდებაა, ყოველი ჩვენგანისათვის კი გონების ლამპარი და სამყაროს მერვე საოცრება არის და იქნება. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ბატონმა ზვიადმა სიცოცხლეშივე დაიდგა ხელთუქმნელი და უნეტარესი ძეგლი, რომელიც საუკუნეთა უმკაცრეს გამოცდას გაუძლებს.

რაოდენ აღმაფრთოვანებელია, რომ ბატონ ზვიადის დროს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ სცნო რამდენიმე ქვეყანამ.

სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ვივსებით, როცა ვიხსენებთ, რომ ბატონი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონსა და ბორის ელცინს საქართველოში (თბილისსა და ყაზბეგში)და მხოლოდ საქართველოში (და არა სხვაგან!) შეხვდა. ასევე დიდი გეოპოლიტიკური დანიშნულების იყო მოსკოვში ბატონ ზვიადსა და ბატონ ჯეიმს ბეიკერის შეხვედრა. ნურც ის გვავიწყდება, რომ ბატონმა ზვიადმა ქაქუცა ჩოლოყაშვილის დროშა აღფრთოვანებით ჩაიბარა.

ამიტომ ვიტყვით, რომ ზვიადი არის მარად უკვდავი და დაუვიწყებელი, უბრწყინვალესი ქართველი და ჭეშმარიტ მამულიშვილთა გონების სწორუპოვარი კელაპტარი, ჩვენი დიდი წინაპრების ღირსეული შთამომავალი და ყველანაირი ეროვნულის ტრფიალი, უპრეცედენტო ერუდიტი, ერის ჭირ-ვარამის გამწილადებელი, აწმყოს თავდადება და მომავლის უტყუარი იმედი, მოყვასთა ჯადოსნური ძაფით ერთმანეთთან შემდუღაბებელი, ყოველი ჩვენგანის ფიზიკური თუ სულიერი ცხოვრების ნათელი სარკე, ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის მედროშე და პირველი პრეზიდენტი, საქართველოს აღზევება-გამარჯვებისათვის გონებითა ნათლითა, გულითა მართლითა, პირითა წმინდითა... მუხლჩაუხრელად და შეურცხვენლად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე თავდადებული. ამიტომ ბატონ ზვიადის ეპითეტად სიამაყის გრძნობით მოვიხმობთ ბიბლიიდან, მათეს სახარებიდან, ასეთ ფრაზას: „მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ".

ამ მოკლე ექსკურსის შემდეგ არ ძალგვიძს აღუნიშ-ვნელობა იმისა, რომ ადრე ჩვენს სინამდვილეში ფეხს იკიდებდა ძალმომრეობა და ამბიციურობა, დაუნდობლობა და კარიერიზმი, განუკითხაობა და შეუბრალებლობა, კინკლაობა და ორპირობა, უნიათობა და უგერგილობა... მაგრამ, საუბედუროდ, ზოგიერთებს არაფერი არ ამოძრავებდათ იმის გარდა, რომ თვითონ მოქცეულიყვნენ თანამდებობებზე და დაქვემდებარებულნი სულიერად და ფიზიკურად დაეთრგუნათ. ამისათვის კი სინდის-ნამუსზე ხელს იღებდნენ: შვილი მამას არ ინდობდა, მამა–შვილს, ძმა–ძმას, მეგობარი–მეგობარს, ნათესავი–ნათესავს, მეზობელი–მეზობელს... ასეთი ამაზრზენი მოქმედებით, ტანში რომ შემაძრწმუნებლად აურეოლებს ნებისმიერ ჭეშმარიტ მამულიშვილს, ზოგიერთები უგვანო თანამდებობის პირთა ერთგული მსახური ხდებოდნენ. ერთი სიტყვით, გაქრა ადამიანის გულიდან ურთიერთსიყვარულისა და პატიოსნების წმინდა გძნობები. მაგრამ ეს არც იყო გასაკვირი, რადგანაც „ჩინოსანთა“ გვერდით აღზევდნენ ე.წ. მოდერნიზებული მეჯღანუაშვილები, მკვლავაძეები, თათქარიძეები და სხვანი და სხვანი, მავანთა და მავანთა მიერ მამა აბრაამის ბატკნებად მონათლულნი, რომელთა გვერდით სულს ძლივსდა ზღაფავდა ათასობით ადამიანი. გამკითხავი და შემწყალებელი კი არავინ იყო. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, დიდი კონსტანტინეს ვაჟიშვილმა, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, თავის მეგობარ სულმნათ მერაბ კოსტავასთან ერთად, დაიწყო ბრძოლა სამშობლოს გასათავისუფლებლად. ამ მეტად რთულსა და ბარდ-ეკლებით მოფენილ ბრძოლის გრძელ გზაზე ბატონ ზვიადის ცხოვრება იყო ჯოჯოხეთური: არ დაჰკლებია მას არც ციხე, არც გადასახლება, არც დევნა-შევიწროება, არც მუქარა, არც შიმშილი, არც წყურვილი, არც სიცივე... მაგრამ ჭეშმარიტი მამულიშვილი ყველაფერს რაინდული შემართებით იტანდა, რადგანაც იცოდა, რომ სამშობლოს, თავის ერს ეწირებოდა. არავის და არაფერს არ ერიდებოდა: ბევრჯერ ბეწვზე ჩამოუკიდებია თავისი სიცოცხლე.

ბატონ ზვიადს, რომელსაც ამკობდა სამეცნიერო ხარისხი და რამდენიმე ფუნდამენტური წიგნის ავტორობა, ევროპული ვნების ბრწყინვალედ ცოდნა და განსაცვიფრებელი ლოგიკური აზროვნება, მამისეული ავტორიტეტი და დიდება, შეეძლო

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ)

საქართველოს პირველი პრეზიდენტი

(დასასრული

უდარდელი ცხოვრებით ეცხოვრა. მაგრამ ხელი მაინც არ აიღო თავის სანუკვარ ოცნებაზე – სამშობლოს თავისუფ-ლებაზე მაშინაც კი, როცა ზოგიერთი, დღეს მამულიშვილად წოდებული, ან თბილ სავარძელში ნეტარებდა, ან საღათას ძილით იყო შეპყრობილი.

გავიდა დრო და ბატონი ზვიადი, რომლის მჩქეფარე და დაუოკებელი ცხოვრება მთელი ისტორიაა მრავალჭირ-ვარამგამოვლილი საქართველოსი, გახდა ღირსეული პრეზიდენტი, მაგრამ, სამწუხაროდ, მას თავისი მოდვაწეობის ბოლო დროს სამკვდრო – სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ ოპოზი-ციური ძალები, რომლებიც ცდილობდნენ ხელისუფლების სათავეში მოქცევას. ეს კი წყალს ასხამდა მტრის წისქვილზე, რაც აღმაშფოთებელი იყო იმ მხრივაც, რომ უმოწყალოდ ღვრიდნენ ძმათა სისხლს და საქართველოს დაღუპვისაკენ მიაქანებდნენ.

ბატონ ზვიადის თავდავიწყებამდე თავისუფლებისმოყვარე ამაყ სულს, გარდა სამშობლოს კეთილდღეობისა, არასდროს არაფერი არ ამოძრავებდა.

საქართველო იყო პრეზიდენტის სათაყვანებელი, საქარ-თველო, რომელიც მისგან მოელოდა ხსნას, რაც, როგორც ყველამ უწყის, ჩვენს ჭეშმარიტ მამულიშვილს, ერის წყლული რომ გაითავისა და მთელი ცხოვრება სამშობლოზე გოდებაში გაატარა, სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

მამაზეციური იყო ბატონ ზვიადის მფარველი ამ საშვილიშვილო საქმის ბრწყინ-ვალედ დაგვირგვინებისაკენ მიმავალ წინააღმდეგობებით აღსავსე გრძელ გზაზე. მაგრამ მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო – ტრაგიკულად დასრულდა მისი ცხოვრება.

დიახ, ტრაგიკულად დაიღუპა ბატონ ზვიადი, მაგრამ ამ დაღუპვამ იგი ეროვნული გმირობის სიმბოლოდ აქცია და ზეციურ საქართველოში დამკვიდრდა მისი, როგორც სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს შეწირული მამულიშვილის, ამაყი სული. სხვა-ნაირად რომ ვთქვათ, ზვიად გამსახურდიამ სიკვდილში იპოვა სიცოცხლე და თვით გახდა უკვდავება.

ღმერთმა ქნას, რომ უზენაესი ღვთიური ძალა აწ და მარადის და უკუნითი უკუ-ნისამდე აცისკროვნებდეს და ზეციურ საქართველოში აღაზევებდეს ჩვენი სასიქა-დულო მამულიშვილის ამაყ სულს, რომელიც ვითარცა კაშკაშა მზე, დაგვნათის და გვაფხიანებს საშვილიშვილო საქმის ბრწყინ-ვალედ დაგვირგვინებისაკენ მიმავალ წინააღმდეგობებით აღურწყავ გრძელ გზაზე.

შორა სორდია,
პროფესორი

სპორტი

ჭადრაკი

მ/ წლის 4-10 მარტს ფოთის საჭადრაკო კლუბ „ნანაში“ ჩატარდა საქართველოს პირველობა ჭადრაკში დასავლეთის ზონის 1 ლიგის ტურნირები 8-10-12 წლამდე ასაკის გოგონათა და ჭაბუკთა შორის. ტურ-ნირში მონაწილებოდნენ, ფოთის, ქუთაისის, ზუგდიდის, ხობის, ლანჩხუთის, ხონის 102 მოჭადრაკე. ჭადრაკი ინტელექტუალუ-რი თამაშია, რომელშიც ორიგინალურა-დაა შერწყმული ხელოვნების, მეცნიერე-ბის, სპორტის ელემენტები. ჭადრაკი ხელს უწყობს აზროვნების, ლოგიკის, ყურადღების კონცენტრაციას. მოჭადრაკეებს შორის გაიმართა დაძაბული ორთაბრძოლა.ტურნირში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ სენაკის მუ-ნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მოჭადრაკეები.

8 წლამდე ჭაბუკთა შორის III – ად-გილი დაიკავა იოსებ შამათავამ, IV და V ადგილი დაიკავეს და ფინალის საგზური მოიპოვეს ალექსანდრე გოგიამ და ცოტნე თუნთიამ (მწვრთნელები ზურაბ ლიფონავა, მერაბ ჯდამაძე).

საპრიზო ადგილებზე გასული ნორჩი მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ თა-სებით, მედლებით და სიგელებით. ღირსეულად იასპარეზეს სენაკელმა ნორჩმა მოჭადრაკეებმა, სენაკის სასპორტო გაერთიანების კოლექტივი ულოცავს მათ წარმატებას და გზას დაულოცავს მათ ღირსეული მომავლისკენ.

10 წლამდელ ვაჟთა ტურნირი

19 მარტს სენაკის მუნი-ციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლაში, სენაკის პროკურა-ტურის ეგიდით ჩატარდა 10 წლამდელ ვაჟთა ტურნირი ჭადრაკში.

ტურნირები მიზნად ისა-ხავს ხელი შეუწყოს მოზარ-დების გონებრივ და ფიზი-კურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს დე-მოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას. მიღებული გა-მოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც.

ტურნირს ესწრებოდა ღონისძიების ორგანიზატორი, სენაკის პროკურორი ბატო-ნი გიორგი კოდუა. სენაკის სასპორტო გაერთიანების დირექტორი ბატონი ჯუმბერ ლაშქარავა და სხვა თანამშრომლები, მოსწავლეები და მათი მშობლები. ტურნირის მსაჯები—სასპორტო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებლები: ზურაბ ლიფონავა და მე-რაბ ჯდამაძე.

ტურნირი გაიმართა შვეიცარული სისტემით 5 ტურად. I - ადგილი დაიკავა იო-სებ შამათავამ, II – ადგილი -- ცოტნე თუნთიამ, III ადგილზე კი გავიდა ავთანდილ სალაყაია

გამარჯვებულები მედლებით და სიგელებით დააჯილდოვა, სენაკის პროკურორმა ბატონმა გიორგი კოდუამ და წარმატებები უსურვა ნორჩ მოჭადრაკეებს.

ირინე ბაბუა,
სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის
საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

შენ შეგვეწიე უფალო

უფალო შენი სამყარო
უსასრულო და დიდია,
შენ ძალგიძს მხოლოდ ქვეყანას
შემოაცალო ბინდია.
შენთან კავშირი ლოცვაა,
რწმენაა, უსაზღვროდ დიდია,
სიტყვის და საქმის ერთობა,
ზიდო სიკეთის ტვირთია.
ნებისყოფა და სიმტკიცე
მოთმინება და რიდია,
დედამიწა და ზეცასთან,
შემაერთავი ხიდია.
შენ შეგვეწიე უფალო,
მოგვეცი ძალა დიდია,
რომ გადვიარო შვებითა,
ზეცად სავალი ხიდია.

ლეილა სიჯინავა

9 აპრილი-ერის ჭრილობა

ქართული გენი უკვდავია

უჩვეულოდ გარინდულიყო ზეცა, ნუში და ალუ-ჩა საოცარი სიდინჯით ჰყვაოდა საქართველოში. თეთრი ტყემლების თქეშს დაეთოვა აპრილის მზი-ანი დღე. ჭადრები გარინდებით იდგნენ რუსთაველის გამზირზე და უშუალო მოწმენი გახდნენ იმ საშინელი ბარბაროსული დღისა, რომელიც დატრიალდა ცხრა აპრილს. ალესილი ნიჩბებით დაჩეხილები გულდაკოდილები იწვნენ რუსთაველ-ის გამზირზე მაგრამ არა და ვერა ქართველ ერს ასე იოლად ვერ დააჩოქებენ, როგორც აგრე-სორებს ჰგონიათ. იმ გიორგის, ნათიას, თამრიკოს ნაცვლად ათასი ნინოები, ნათიები და თამრიკოე-ბი დადგებიან მათი სახელის უკვდავსაყოფად. ქართული გენი უკვდავია. დიდი შოთასი, ილიას, აკაკის, ცოტნეს, ქეთევანის, თამარის. კიდევ რამდე-ნი დავწერო. წმინდა სისხლით მორწყული გზით წავიდნენ ჩვენგან ცხრა აპრილის დაღუპულები და წმინდა კვალი დატოვეს. სიკვდილით სწორად სოცოცხლის გზა გაგვინათეს.

არასოდეს ქართველები
არ ვყოფილვართ მხდალი -
ცხრა აპრილსაც ასე მოხდა
მოვიხადეთ ვალი.
გული ისე დამიკოდეს
ჭრილობა მაქვს უსაშველო
მტრის ჯინაზე ნუ შედრკები
აღსდექ ჩემო საქართველო.

თენგიზ კვარაცხელია,
აფხაზეთიდან დევნილი

14 აპრილი-ლედაენის დღე

„ენა ცოცხალი ორგანიზმია. იგი თხოულობს მუდმივ ზრდას, განვითარებას. შეაჩერეთ მისი ზრდა და დაჟანგებას იწყებს, უკან-უკან წავა, გა-ღატაკდება, დაჭკნება და სამარეში თან ჩაიტანს თავის შემქმნელ ერსაც.

სიკვდილის გზას ადგას ყოველი ენა, რომელიც გამეფებული არ არის ოჯახსა და სკოლაში. იზრ-დება, ძალით და ღონით ივსება ენა, რომელიც მეფობს ოჯახსა და სკოლაში.“

მადლობა

მქონდა ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები. დედაქალაქში მკურნალობის მიუხედავად თავს ვგრძნობდი ცუდად. სენაკის საოჯახო ცენტრ „მკურნალში” მივმართე ექიმ-კარდიოლოგს ელისო ხარბედია-გოგიას.

ქალბატონ ელისოს კვალიფიციურმა მკურნალობამ, მისმა გულისხმიერმა დამოკიდებულებამ ფეხზე დამაყენა.მინდა მას დიდი მადლობა გადავუხადო, მივულოცო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, ვუსურვო ჯანმრთელობა, პროფესიული წინსვლა. უფალმა დალოცოს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

ნაზი ჯიხვაშვილი-ჩაჩიბაია